ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №2041352

ნომერი: AR1330601

თარიღი : 30.07.2015

გაცემის თარიღი : 03.08.2015

გაცნობის თარიღი : 03.08.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საქართველოს სამხედრო გზის მე-12 კმ-ზე.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა მოდრეკილაძე პ/ნ 01023007690
- თბილისი ნ.ბუაჩიძის ქ. N 4 ბ. 11

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- ადმინისტრაციული - საქმიანი ობიექტები
  - ოფისი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

თქვენი AR1330601 განაცხადის პასუხად, სადაც ითხოვთ #01.10.06.004001 საკადასტრო ერთეულებზე საოფისე, კომერციული ობიექტის დასაგეგმარებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, გაცნობებთ შემდეგს: განაცხადზე ამჟამად ატვირთული ესკიზის მოცულობის ვიზუალური მხარე არ შეესაბამება შერჩეული სახეობის ფუნქციას. ასევე გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთი განთავსებულია ქალაქისათვის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ქუჩის გასწვრივ, რომლის ფარგლებშიც განთავსებული ნებისმიერი ობიექტის არქიტექტურული გადაწყვეტა, ესთეტიკური თვალსაზრისით უნდა ხასიათდებოდეს მაღალი მხატვრული მონაცემებით. სამსახურის პოზიციით წარმოასდენია განახლებული, გაუმჯობესებული, საპროექტო სახეობის შესაბამისი ესკიზური ვარიანტი. რის შემდგომ სამსახური განიხილავს ტერიტორიის სამშენებლო განვითარების საკითხს განმეორებით.
ამასთან გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად დახარვეზებულ ველებში უნდა ატვირთოთ :

- თვალსაჩინო ადგილას განთავსებული მინიმუმ A2 გაბარიტების საინფორმაციო დაფა (ფოტოები გადაღებული ახლო და შორი მანძილიდან) რომელზეც უნდა იყოს აღნიშნული საპროექტო მშენებლობის მონაცემები, კერძოდ:

ა) შენობა-ნაგებობის მისამართი;
ბ) შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
გ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და განაცხადის განხილვის ვადები;
დ) შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობა ან/და გაბარიტები;
საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულების ან/და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83- მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განცხადების ჩაბარებიდან 30 დღიანი ვადა მითითებული დოკუმენტების წარ მოსადგენად; დანიშნულ ვადაში მოთხოვნილი დოკუმენტის არწარმოდგენის შემთხვევაში, საკითხი დარჩეს განუხი ლველი.ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განა ხლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.